

გადასახადების მესახებ.

თარგმანი რუსულიდან

35257

გამოცემა

„გლეხის“ ამხანაგობისა.

№ 1.



თფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა.

1906 წ.



Дозволено цензурою г. Тифлисъ, 15 марта, 1906 года.

I

ყოველ ახალ წელიწადს, პირველ იანვარს, ფინანსთა მინისტრი ხელმწიფეს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიშს წარუდგენს ხოლმე და ამასთანავე უქვეშევრდომილესად მოახსენებს, რომ ხალხი შესძლებს უკლებლივ შეიტანოს ხაზინაში, რაც კი გადასახადია გაწერილიო. ეს მოხსენება რასაკვირველია ძალიან შორს არის სიმართლისაგან. საიდან უნდა გაიღოს ფული გატყავებულმა ძალა-გამოლეულმა გლეხმა ან ქალაქის მუშამ, როცა ყოველ წელს დიდი წილი სოფლებისა დამშეულია, როცა ქალაქში ათი ათასობით უსაქმოდ დარჩენილ მუშებს შიმშილით კუჭი ეწვით და ლუკმა პურს მოკლებულნი მათხოვრობას და ხანდისხან ქურდობასაც მიმართავენ ხოლმე. არა, ცხადია, რომ ჩვენ სახელმწიფოში ყველაფერი ვერ არის რიგზე მოწყობილი; ცხადია, რომ მშრომელს ხალხს არ შეუძლია ხაზინა-

ში იმოდენა ფული შეიტანოს. მაგრამ თუ
ეს ასეა, ერთი რამ არის გაუგებარი: მი-
ნისტრს, მაგ. იმედი ჭქონდა, რომ 1905 წელს
ორ მილიარდს ანუ ორი ათას მილიონს
მოკრეფდა. როგორ უნდა მოკრიფონ ეს
ფული, ვინ უნდა მისცეს, როცა გლეხს და
ქალაქელ მუშას შიშილით და სიღატაკით
სული ამოსდით? ან იქნება ეს ხარჯი მდიდარ
რებმა გაიღონ, მშრომელი ხალხი უკი ამ გა-
დასახადებისაგან სრულიად გაანთავისუფ-
ლონ? ჰაი ჰაი, რომ კარგი და სამართლიანი
საჭმე იქნებოდა.. მემამულეთ და მექარხნე-
მეფაბრიკეთ დიდი გამორჩენა აქვთ მუშა,
ხალხისაგან და ხარჯის გადახდა მათ ჯიბეს
ვერ გაუთხელებს; ღარიბ ხალხს კი უგადა-
სახადოთაც უჭირდება ცხოვრება. აბა მაში
უნახოთ, მართლა მდიდრებრი იხდიან გადასა-
ხადებს, თუ არა; გამოვარკვიოთ ფისგან იკრი-
ფება დიდი წილი სახელმწიფო გადასახადე-
ბისა. როგორც ევროპის ყველა სახელმწი-
ფოებში, ისე როგორი ხარჯების ორგვარი
გადასახადი არსებობს: პირდაპირი და არა პირ-
დაპირი პირდაპირ გადასახადი იშას ჭქონან.

რომელსაც სახელმწიფო პირდაპირ, აშკარად
ახდევინებს ხალხს, მაგ. მამულზე დაღებული
გადასახადიდან სამრეწველო გადასახადები
(ვაჭარი თუ მრეწველი მოწმობაში რომ
იხდის). ამისთანა გადასახადი მინისტრის
აზრით, 1905 წელს ორას თხუთმეტი მი-
ლიონი უნდა შემოსულიყო. არაპირდაპირ
გადასახადს ხაზინა პირდაპირ, აშკარად კი
არა პკრეფს, არამედ მექარხნე-მეფებრი-
კესა და მემამულეთა შემწეობით. ამის-
თანა გადასახადი შეადგენს ათასს შვიდას
მილიონ მანეთს. როგორდა იკრიფება ეს
ფული? შაქრის და თამბაქოს ქარხნების პატ-
რონებმა და ნავთის მრეწველებმა თავის სა-
ქონელში წინდაწინვე უნდა შეიტანონ ფუ-
ლი ხაზინაში, ამ გადასახადს აქციზი ჰქვიან.
აქციზის მოხელენი თვალყურს ადევნებენ,
რომ საქონელი უაქციზოთ არ გაყიდონ.
ვინც ამ კანონს დაარღვევს, გამყიდველი
იქნება თუ მყიდველი, სასტიკად ისჯება. ვის
არ უნახავს როგორ დაძრწის აქა-იქ აქცი-
ზის მოხელე, რათა სადმე საარყე ქვაბი და
მისი პატრონი აღმოაჩინოს. სპირკის კო-

ლოფზე, თბამაქოზე და ლვინის ბოთლებზე
ხშირად ნახავთ ბანდეროლს; ეს ბანდერო-
ლი მეფაბრიკებ ან მექარხენებ მთავრობისაგან
იყიდა. ერთ კოლოფუ სპიჩკაში მაგ. მთავრო-
ბა იღებს ნახევარ კაპეიკს; ერთ გირვანჭა
დამბაქოში ოთხ აბაზ უზალთუნს (90 კაპ.).
მეფაბრიკეს, მაგ. უნდა კოლოფი სპიჩკა ნა-
ხევარ კაპეიკად გაყიდოს, მაგრამ რაღან
ბანდეროლი უნდა დააკრას, ბანდეროლში
კი ნახევარ კაპეიკს ახდევინებს მთავრობა,
იძულებულია კოლოფი სპიჩკა ერთ კაპეი-
კად გაყიდოს; ასევე ახდევინებს თამბაქოს
ქარხნის პატრონი მყიდველს, როგორც თამ-
ბაქოს ფასს, ისე ბანდეროლსაც.

არის კიდევ, ეგრედ წოდებული სადა-
მოჟნო გადასახადი—ბაჟი. ამ ბაჟს ვაჭარი
იხდის საზღვარზე, როცა უცხოეთიდან რაი-
მე საქონელი შემოაქვს. ბაჟი ადევს: ჩაის,
აბრეშუმს, ხავერდს, რკინას, ბამბას და მრა-
ვალ სხვა საქონელს. მაგ. ერთ ფუთ რკინა-
ში მთავრობა ოთხ-აბაზს ახდევინებს; რკინის
ნივთში თითო ფუთში ოთხ მანეთს და 13
შაურს; ერთ ფუთს იარაღში 43 მან, და 1

აბაზეს; ვაჭარიც ამდენათ მეტ ფასში ჰყიდის საქონელს, რამდენათაც უფრო მეტი გადაიხადა მან ამ საქონელში საზღვარზე გადმოტანის დროს. მაშასადამე, ამ გადასახადს ვაჭარი კი არ იხდის, არამედ მყიდველი. უწინ არაყის ქარხნები კერძო პირთ ჰქონდათ, ეხლა კი მისი გამოხდა რუსეთში მთავრობის ხელშია. წინად, როცა არყის გამოხდა კერძო პირებს შეეძლოთ, ერთი ერთმანეთს ეცილეოდნენ, მეტოქებობას უწევდნენ და ამიტომ აიაფებდნენ და აუმჯობესებდნენ არაყის. მაგ. ვთქვათ; სმირნოვმა გამოუშვა არაყი ბოთლი ორ აბაზად, პოპოვი კი იმავე ლირსების არაყის შვიდ შაურად ჰყიდის; პოპოვი ბოთლს არაყის შვიდ შაურად ჰყიდის, მუსტოვი კი იმავე ფასში იმაზე უფრო კარგ არაყის ჰყიდის—ერთი ერთმანეთის გაჯიბრებით არაყის აუმჯობესებდნენ და აიაფებდნენ. ხალხი უკეთეს და იაფს არაყის სვამდა. სურათი იცვალა, როცა ეს საქმე მთავრობამ იგდო ხელთ. მას მოცილე არავინ ჰყავს და მაშასადამე არყის გაიაფებასა და გაუმჯობესებაზე არავინ ჰფიქრობს: ია-

ფია, თუ ძვირი არაყი, კარგი გამოხდილია თუ ცუდი, რაკი მარტო ერთი არაყია, მყიდველი იძულებულია იყიდოს. ზოგიერთებს ეგონათ, რომ რაკი არყის საქმე სახელმწიფოს ხელში გადავიდა, დათრობა მოისპობოდა, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ. რუსეთში დათრობამ თუ იმატა, თორემ არ უკლია. მხოლოდ ის არის, რომ არაყი დღეს ძვირიც არის და უვარგისიც.

მთავრობას რომ ხალხის სიკეთე აწუხებდეს, მაშინ არაფერი გვეთქმოდა; პირიქით, ხალხის ყოველი მოყვარე იმასაა მოწადინებული, რომ წარმოების იარაღზე კერძო საკუთრება მოისპოს, ე. ი. ქარხანა-ფაბრიკები, მანქანები და მიწა კერძო პირებს ჩამოერთვას და გადაეცეს სახელმწიფოს, რათა ყველა ეს მშრომელთა სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ მოხმარებული იქნას. მაგრამ აქ მთავრობამ არყის გამოხდა მხოლოდ თავის სარგებლობის გულისათვის ჩაიგდო ხელში: 7 მან. 60 კაპ. ახდევვინებს ერთ ვედრა არაყში, როცა 2 მანეთი ჭლივს უირს.

არაყი, თამბაქო, სპიჩა და რკინა, უველას სჭირია: ღარიბ-ღატაკსაც და მდიდარსაც. მაგრამ მდიდრების რიცხვი რამდენიმე ათი ათასჯერ ნაკლებია ღარიბებისაზე. ამიტომაც გადასახადი თითქმის მთელ თავის სიმძიმით ისევ ღარიბ ხალხს აწვება კისერზე. მდიდრებს შეუძლიანთ და კიდევაც სვამენ სახაზინო უვარვის არყის მავივრად საზღვარ გარეთულ ღვინოს. გლეხი და მუშა კი იძულებულია იაფ-ფასიანი თამბაქო და არაყი იხმაროს; იაფ-ფასიან საქონელს კი დიდი გადასახადი ადევს. ამიტომაც არაპირდაპირი გადასახადი მცხოვრებთა ულარიბეს ნაწილის გადასახადია. ამაზე, შეიძლება გვიპასუხონ: ეგ მართალია, მაგრამ რომ არის ბევრი ისეთი საგანი, რომელსაც მეტ წილად მუშა ხალხი ხმარობს და ბაჟი კი არ ადევს. რასაკვირველია, არის ამისთანა საქონელი მაგპური, წალები, ტანისამოსი და სხვა, რომელთაც თითქმის არავითარი ბაჟი არ ადევთ. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ „თითქოს“ არ ადევთ, ნამდვილათ კი ამ საქონელსაც ადევს ბაჟი. ავილოთ მაგ. ხალათი. ხალათში

ბაჟს არ გახდევინებენ, ჩითზე, ძაფზე და
ნემსზე კი ბაჟი გადაიხადე. გამოდის, რომ
ხალათში ბაჟი გადაგიხდია.

აქედან შეიძლება დაინახოთ, რომ არა-
პირდაპირი გადასახადი შეუმჩნევლად, მაგ-
რამ ამასთანავე უმოწყალოდ უთხელებს ქა-
ლაქის მუშას და გლეხს ისედაც გათხელე-
ბულს ჯიბეს.

ხაზინის უმთავრეს შემოსავალს არა-
პირდაპირი გადასახადი შეადგენს. ხაზინის
შემოსავლის ორი ათას მილიონიდამ (მი-
ლიონი ათასჯერ ათასია) ათას შვიდას (1,700)
მილიონამდე არაპირდაპირი გადასახადი შეა-
დგენს, პირდაპირი კი მხოლოდ ორას თხუთ-
მეტ (215) მილიონს. სხვა და სხვა აქციზი
და ბაჟი შეადგენს თითქმის ოთხას (400) მი-
ლიონს წელიწადში; თამბაქოსი ორმოცდა-
რვა (48) მილიონია, შაქრისა—სამოცდა-
ცხრამეტი (79) მილიონი, არყისა და სხვა და
სხვა სასმელებისა—ხუთას-ოცდა-ხუთი (525)
მილიონი.

მთელი ჩვენი სიცოცხლე, ყოველ ნა-
ბიჯზე არაპირდაპირი გადასახადი უნდა ვაძ-

ლიოთ. დაიბადები—მიართვი გადასახადი; სცხოვრობ გადასახადი აძლიე; მოკვდები — კუბოშიც გადასახადი უნდა მისცე. ხაზინის შემოსავალი მცხოვრებთა რიცხვზე რომ გავყოთ, თვითეულ სულზე წელიწადში მოვა 14 მანეთამდე; მუშის ოჯახზე (ცოლქმარი და 3 ბავშვი) წელიწადში მოდის შვიდი თუმანი (70 მ.). მუშის საშვალო შემოსავალი ოცი—ოცდა ოთხი თუმანი (200—240 მან.) რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ თავის შემოსავლის მესამედი ხაზინას უნდა მისცეს გადასახადის სახით, ესე იგი, თავის დროის მესამედს თვისთვის კი არ მუშაობს, არამედ მთავრობისათვის. ბატონყმობის წესი გამოდის სწორედ; იმ განსხვავებით კი, რომ იმ დროს მებატონის სასარგებლოდ მხოლოდ გლეხები მუშაობდნენ, ეხლა კი ყველა. წინათ გლეხები მრავალ მემამულეებისათვის მუშაობდნენ, ეხლა კი ყოვლის შემძლე მემამულისათვის.

ჩვენ ეხლა ვიცით, როგორ იკრიფება არაპირდაპირი გადასახადი. ეხლა ვნახოთ, ვინ იხდის ამ გადასახადს, ვის აწვება მძიმე

ტვირთად ღარიბს, თუ მდიდარს. ჩვენ უკვე
ვიცით, რომ ბაჟი ადევს საზღვარ გარეთულ
საქონელს. ერთ ფუთ რკინას ადევს 80 კაპ.,
თითო ფუთს რკინის ნივთებს 4 მ. ნე კაპ.,
თუჯის მანქანის თითო ფუთს 4 მ. ან 5 მ.,
იარაღს, ფუთს 43 მ. 20 კაპ. მიტკალს — ერთ
გირვანქას — 80 კაპ., დამზადებულ ნაქსოვს —
ერთ გირვანქას მანეთ ნახევარი და ორიც.
ცხადია, რომ ვაჭარი გადახდილ ბაჟს მყიდ-
ველს გადაახდევინებს. ვოქვათ, საზღვარ-
გარეთ საქონელში ვაჭარმა მისცა 20 მან.,
საზღვარზედაც ბაჟი 25 მანეთი გადაახდევი-
ნებს; ჩვენში ამ საქონელს იგი 45 მანეთად
და უფრო მეტადაც ჰყიდის. ამრიგად ბაჟი
ისევ მყიდველმა უნდა გადაიხადოს. რაც
უფრო მეტია ბაჟი, მით საქონლის ფასიც
მეტია. არსად არ არის ისე დიდი ბაჟი, რო-
გორც რუსეთში. მაგ., გერმანიაში ბაჟი ექვს-
ჯერ და შვიდჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე
ჩვენში. ფეხსაცმელზე დადებული ბაჟი რუ-
სეთში 12-ჯერ მეტია, ვიდრე გერმანიაში;
ჭალალდზე — 30-ჯერ. რა აზრი აქვს ამისთანა
ბაჟებს, რისთვისაა იგი შემოღებული? იქნე-

ბა მემამულეს და ვაჭარს ღმერთი გაუწყოათ,
ხალხზე ზრუნავენ? კარგი ზრუნვა კია; რო-
ცა ხალხი 50 კაპეიკის მაგივრად საქონელში
4 მან. იხდის. მაში ვისთვის არის სასარგებლო-
ეს ბაჟი? რისთვის აღატაკებს მთავრობა
ხალხს? ვისთვისა და მეფაბრიკეებისა, მემა-
მულეებისა და მექარხნეთა პატარა ჯგუფი-
სათვის! საზღვარგარეთულ საქონელს დიდი
ბაჟი ადევს. ამიტომაც ძვირად იყიდება და-
უცხოეთელ ვაჭრებისათვის საქონლის რუ-
სეთში შემოტანა ისე ხელსაყრელი არ არის.
ჩვენ სქელ-ჯიბიან ლიპიანებს სწორეთ ეს უნ-
დათ: უვარგის საქონელს აკეთებენ და ძვირად
ჰყიდიან, რაღან მოცილე არა ჰყავთ. ამი-
ტომ არის, რომ მუდამ უამს მთავრობას
ემუდარებიან „ერთი ხელი შეუწყეთ სამ-
შობლო ქვეყნის მრეწველობა-წარმოების
განვითარებასათ“; ე-ა. ჩვენ უძირო ჯი-
ბებში კიდევ ჩააჩრიალეთ ღარიბ ხალხის
ფულიო. ამ რიგადან წლითი წლობით ჩა-
დის იმათ ჯიბებში ღარიბ ხალხის ფული-
ეხლა ცხადია, ვისთვისა საჭირო დიდი
ბაჟები და ვისთვისა სასარგებლო სამ-

შობლო ქვეყნის მრეწველობის განვითარებაზე ზრუნვა.

მაინც ჩვენი სქელ ჯიბიანები არა ტყდებიან, რომ გადასახადები მძიმე ტვირთადისევ ღარიბ ხალხს აწვება. „არა, ერთი მიბრძანეთ, ხმა მაღლა ღალადებენ ეს სქელ ჯიბიანები,—აბა რა გადასახადის გაღება შეუძლია ჯიბე-გაფხეკილ ქალაქის მუშას და გლეხობას? განა საფუფუნო საგნების ბაჟს ჩვენ არ ვიხდით? განა ჩვენ არ დავიარებით ხავერდ-აბრეშუმში გამოწყობილნი, ოქროთი და ძვირფას ქვებით მორთულნი?“—დიალ, ბატონებო, მართალსა ბრძანებთ, მაგრამ საქმე იოტის ოდენათაც არ იცვლება; მართალია, ღარიბი ხალხი აბრეშუმ-ხავერდში გამოწყობილი არ დადის, ისიც მართალია, რომ მდიდრები ამ საგნებში ბაჟს იხდიან. მაგრამ განა ის-კი არ არის მართალი, რომ მდიდართა რიცხვი რამდენიმე ათი ათას-ჯერ ნაკლებია, გლეხებს, მუშებს და ღარიბ მოქალაქეთა რიცხვზე. ისიც ხომ მართალია, რომ ხაზინის უმთავრეს შემოსავალს შეადგენს უსაჭიროეს საგანზე დადებული ბაჟი,

ისეთ საგანზე, როგორიც მაგ. არის ჩაი, შა-
ქარი, ნავთი, არაყი, რკინა. ყოველივე ეს
მთავრობამ კარგად იცის და ამიტომაც
ადებს უსაჭიროეს ნივთებს გადასახადს. აბა,
თქვენ თითონ გასინჯეთ: ძალიანაც რომ გა-
აძვირონ ასანთი, თამბაქო, არაყი. ნავთი და
რკინაც, ღარიბი ხალხი მაინც იყიდის, უა-
მისოდ ვერ გასძლებს. საფუფუნო საგნები კი
სხვა საქმეა. აბა ერთი დიდი ბაჟები დაადონ
აბრეშუმ-ხავერდს, ძვირფას ქვებს, არავინ
იყიდის ამ ნივთებს. მდიდარმა ძვირფასი ქვე-
ბი, რომ მოიკლოს შიმშილით არ მოკვდება
და უამისოდაც გასძლებს. დასამტკიცებლად
ერთ მაგალითს მოვიტან: ასი წლის წინად
ინგლისის მეფემ დიდი ბაჟი დაადო პუდრას.
პუდრით ვითომდა გალამაზებას მაშინაც
მისდევდნენ და ამიტომ ძალიან ბევრს ყი-
დულობდნენ. მერე არ იკითხავთ რა მოხდა?
მართალია, პირველ წელიწადს ამ ბაჟმა ორი
მილიონი შემოსავალი მისცა ხაზინას, მაგრამ
მერე თან-და-თან იკლო და ბოლოს ისე ცო-
ტა პუდრას ხმარობდნენ, რომ ეს ბაჟი სულ
გააუქმეს, რაც უნდა თქვან, მაინც უნდა

გამოტყდენ, რომ არაპირდაპირ გადასახადს უმთავრესად მუშები და გლეხები იხდიან.

მდიდრები მაინც ჯიუტობენ: კეთილი, ბრძანებენ ისინი, ვსთქვათ არაპირდაპირ გადასახადს უმთავრესად გლეხები და მუშები იხდიან, იმიტომ რომ რიცხვით ჩვენზე მეტნი არიანო; მაგრამ რად იღებთ ყველა ლარი-ბებს ერთად და რად უტოლებთ მდიდრებს, ერთადვე აღებულთ? აბა ცალკ-ცალკე შეუტოლეთ, ვინ უფრო მეტს იხდის — ერთი მდიდარი თუ ერთი ლარიბი? აი მაგალითად, გინდ ჩაი აიღეთ. მე და ჩემი მეუღლე დილა-სალამოს ორ-ორ კოვჭს ჩაის მოვადულებთ ხოლმე, ლარიბი კი ნახევარ კოვჭს მოადულებს და იმასა სცდილობს, რომ კოვჭი რამდენიმე დღე იმყოფინოს. შაქარსაც მეტს ვხმარობთ. აბა, იანგარიშეთ და დარწმუნდებით, ვინ უფრო მეტს იხდის! — სწორეს ბრძანებთ, ბატონო. მაგრამ ეხლა ეს გვიბრძანეთ: განა რამდენათაც მდიდარი ბრძანდებით მუშასა და გლეხზე, სწორედ იმთენად მეტ ჩაის შაქარს და თამბაქოს ხმარობთ? თუ თქვენ ათასჯერ მდიდარი ხართ, განა

ათასჯერ მეტს ჩაის, შაქარს და თამბქოს
ხმარობს? დავიჯეროთ, თქვენ გაცვეთავთ
ათას წყვილ წალას და ჩაიზე მიირთმევთ ათას
პურს? ცხადია, ვერა. პატარა ბავშმაც კი
იცის. მაშასადამე გამოდის, რომ თქვენი¹
პასუხი უსაფუძვლოა და უნდა დაგვეთანხმოთ,
რომ არაპირდაპირ გადასახადს უმთავრესად
ღარიბი ხალხი იხდის. ზევით გამოვარკვიეთ,
რომ მუშა ხაზინას აძლევს თავის შემოსავ-
ლის მესამედს, მდიდარი კი თავის შემო-
სავლის მეორმოცე ნაწილსაც არ აძლევს.

მდიდარმა და ღარიბმა რომ შემოსავლის
კვალობაზე იხადონ გადასახადი, ე. ი. ერთი
და იგივე პროცენტი აძლიონ თავიანთ შემო-
სავლიდან, მაინც გადასახადი არ იქნება სა-
მართლიანად განაწილებული. ღარიბისათვის
მანეთზე ორი შაურის მიცემა უფრო ძნელია,
ვიდრე მდიდრისათვის ათ თუმანზე—ერთი
თუმნისა. ღარიბისათვის ორი შაური დიდი
ფულია, მდიდრისათვის კი, რომელიც ქეიფზე
ათ—თუმნობით ხარჯავს, თუმანი ბევრი არა-
ფერია.

ეს კიდევ არაფერი. მდიდარს აღვილად შეუძლიან თავიდან აიცილოს არაპირდაპირი გადასახადი. საზღვარ-გარეთულ საქონლის მაგიერ, რომელსაც დიდი ბაჟი ადევს, შეუძლიან რუსეთში დამზადებული ძვირი საქონელი იხმაროს. ერთი ხარისხის შამბანიურის მაგივრად შეუძლიან სხვა ხარისხის შამბანიური დალიოს. შეუძლიან აგრეთვე აღარ იყიდოს ზოგიერთი ძვირი საფუფუნო საქონელი; ასეთი ამბავი მოხდა ინგლისში ამ ასიწლის წინად. ლარიბი კი ვერას-გზით ვერ აიცილებს თავიდან გადასახადს. ლვინო ერთი აქვთ, თამბაქოც მახორკაა, გინდა არ გინდა, აძლიერ გადასახადი. გლეხს სოფელში, ასე თუ ისე კიდევ შეუძლიან აიცილოს თავიდან გადასახადი; მაგალითად, წალების მაგივრად ქალამანს ჩაიცვამს. ქალამანს თითონ გაიკეთებს, მასალაც აქვს. რკინის ლურსმის მაგიერ ხის სოლსაც მოიხმარს. ქალაქის მუშა კი ვერას-გზით ვერ აიცილებს თავიდან გადასახადს. თუ იყიდის რასმე—გადასახადი უნდა მისცეს; არ იყიდის, ფეხები უნდა ფშიკოს.

თანდათან გლეხსაც უჭირს არაპირდა-
პირი გადასახადის მოცილება. ძველ ღროში,
როცა ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა არ
იყო განვითარებული, საქონელი ცოტა იყო
და მაშასადამე, გადასახადსაც ვერაფერს და-
დებდნენ, გლეხი ყველაფერს თითონ იმზა-
დებდა. როცა მრეწველობა განვითარდა,
ქარხანა-ფაბრიკები გამართეს, სოფელში სა-
ქონელი გაიტანეს; გლეხს გაუჭირდა თავის
მოთხოვნილების თავისევე მარჯვენით დაკმა-
ყოფილება. ყველა ნაწარმოები საქონლად
იქცა. პური, მაგალითად, ეხლა მოჰყავთ
მარტო თავისთვის კი არა, არამედ მეტ წი-
ლად საბაზროდ, გასაყიდად. როცა ვაჭრობა
არ იყო, არც გადასახადი იყო საჭირო.
განვითარდა ვაჭრობა, გაჩნდა მრავლად სა-
ქონელი, გაჩნდა არაპირდაპირი გადასახა-
დიც. უწინ გლეხმა არ იცოდა აღებ-მიცე-
მობა და ფულიც არ ჰქონდა. ეხლა კი უფუ-
ლოდ ვერ გასძლებს. ყველაფერი სასყიდე-
ლი აქვს. არაპირდაპირ გადასახადს მთელი
ხალხი იხდის; გლეხი კი ამის გარდა იხდის
კიდევ პირდაპირ გადასახადსაც, ამ რიგად

გლეხი და მუშა, რომელსაც ჯერ არ გაუნებებია სოფლისთვის თავი, იხდის პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადს. მოსკოვის სასოფლო სამეურნეო კომისიის ანგარიშით, გლეხის თვითეული კომლი ორთა-შუა რიცხვით იხდის ოცდა ორ მანეთს (22 მ.) პირდაპირ გადასახადს და ორმოცდა ოთხ მანეთს არაპირდაპირს. ამ მაგალითებიდან ცხადია, როგორ უმძიმს ლარიბ ხალხს ყოველგვარი გადასახადი, მეტადრე არაპირდაპირი; ლარიბი ხალხი არაპირდაპირი გადასახადის სახით თავის შემოსავლის უფრო მეტ ნაწილს იჭდის ვიდრე კაპიტალისტი. ლარიბი ხალხი, მეტადრე მუშა, ვერ აიცილებს თავიდან არაპირდაპირ გადასხადს; ლარიბ ხალხისათვის გადასახადის გაღება უფრო ძნელია, ვიდრე მდიდრისათვის; არაპირდაპირი გადასახადი მძიმე ტვირთად აწევს ლარიბ ხალხს.

არაპირდაპირი გადასახადი სხვა ქვეყნებშიაც არის, მაგრამ ისე როდი უჭირებს საქმეს ხალხს, როგორც ჩვენში. მაგ. ისპანიაში არაპირდაპირი გადასახადი ერთ ნახევარჯერ მეტია პირდაპირზე; ინგლისში—ორ

ნახევარჯერ მეტია; საფრანგეთში—სამჯერ; რუსეთში კი ცხრაჯერ მეტია. არაპირდაპირი გადასახადი ყველა ქვეყანაში სჭარბობს პირ-დაპირ გადასახადს, მაგრამ რუსეთში ეს განსხვავება მეტად დიდია. ევროპის სახელმ-წიფოებში პარლამენტში თხოულობენ, რომ გადასახადის ნაწილი მოაცილონ ლა-რიბ ხალხს და იმის მაგიერ მდიდრებს და-კისრონ. ინგლისში, მაგალითად, მდიდრები ყველაფერზე გადასახადს იხდიან. იხდის გა-დასახადს ის, ვისაც ჰყავს მოსამსახურეები, აქვს ეტლი, საგვარეულო ნიშანი, ცხენები, იარაღი, ნადირობის უფლება, ოქრო-ვერც-ხლის ჭურჭელი. საზოგადოთ, დასავლეთ ევროპაში გადასახადები ისე უსამართლოდ როდია განაწილებული, როგორც რუსეთში. ჩვენში, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ლარიბი უფრო მეტ გადასახადს იხდის. ვიდრე მდი-დარი. იაფ საქონელს უფრო მეტი გადასა-ხადი ადევს, ვიდრე ძვირფასს. ერთ გირვანქა ცხრა მანეთიან პირველ ხარისხის თამბაქოზე დადებულია ოთხი აბაზი და ორი შაური გადასახადი, ე. ი. თამბაქოს ფასის მეათედი.

ნაწილი. გირვანქა მახორკაზე კი, რომლის
ფასიც 32 კაპეიკია—8 კაპეიკია დადებული,
ე. ი. მეოთხედი ნაწილი. ამ რიგადვებ ადევს
გადასახადი ჩაისა და ლუდსა. დარიბი ხალხი,
როგორც იაფ საქონლის მყიდველი, უფრო
მეტს არაპირდაპირ გადასახადს იხდის, ვიდ-
რე კაპიტალისტი და, საზოგადოდ, მდიდარი.

ეს უთანასწორობა უფრო ძლიერია სოფ-
ლად. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასა-
ხადი მძიმე ტვირთად აწვება გლეხს. მდი-
დარი მემამულენი ნაკლებ გიდასახადს იხ-
დიან. მათ ყოველგვარი უპირატესობა აქვთ,
გლეხს კი პერანგსაც ხდიან. აი, ამ უთა-
ნასწორობის მაგალითიც. კურსკის სახაზინო
პალატის ანგარიშით, ათას რვაას ოთხმოცდა-
ცხრამეტ წელს, გლეხი ერთ დესეტინა მი-
წაში ორ მანეთს და ოთხმოცდა ოთხ კა-
პეიკს იხდიდა, დიდი მემამულე კი—ორმოც-
და ექვს კაპეიკს. ესე იგი, მდიდარი მემამუ-
ლენი ექვსჯერ ნაკლებს იხდიან, ვიდრე
გლეხები. აქედან რომ გამოვაკლოთ გადა-
სახადი, რომელიც ერობის სასარგელოდ მი-
დის, განსხვავება უფრო თვალსაჩინო გახდე-

ბა: გლეხი და მემამულე ერობის სასარვებ-
ლოდ თანასწორად იხდიან ფულს—ორმოც-
და ერთ კაპეიკს; ეს ორმოცდა ერთი კაპეიკი
რომ გამოვაკლოთ გლეხობის საერთო გადა-
სახადს (2 მან. 84 კ.—41 კ.=2 მან. 43 კაპ.)
და მემამულის საერთო გადასახადს (46—41
=5 კაპ.) გამოვა, რომ გლეხი იხდის ერთ
დესეტინა მიწაში ორ მანეთს, ორ აბაზს და
სამ კაპეიკს, მდიდარი მემამილე კი—ერთ
შაურს. გამოდის, რომ გლეხი ორმოცდა რვა-
ჯერ მეტ გადასახადს იხდის, ვიდრე მდიდარი
მემამულე.

მამულის გადასახადსაც კი ერთნახევარ-
ჯერ, ორჯერ და სამჯერაც მეტს ახდევინე-
ბენ გლეხს, ვიდრე დიდ მემამულეს. გლეხის
მიწა უკეთესი რომ ყოფილიყო კიდევ ჰო,
ამისთანა უსამართლობის გამართლება შეიძ-
ლებოდა; მაგრამ მაგარიც ის არის, რაც
ყველამ იცის, რომ ბატონ-ყმობის გადა-
ვარდნის დროს გლეხთა საუკეთესო მიწები
მებატონეფ დარჩათ, ხოლო უვარვისი კი
გლეხებს არგუნეს. ზოგიერთი ვაჟბატონები
გლეხებს მცონარეობას, ზარმაცობას სწამე-

ბენ. ივიწყებენ, რომ ქანც-გაწყვეტილ გლეხს, მამა-პაპური იარაღით უკვე ძალა გიმოლეულ მიწის დამუშავება ბევრს ვერაფერს ნაყოფს მოუტანს. ამას ზედ ერთვის მიწის სიმცირე. ამ სიმცირის მიზეზია მეზობელ გლეხთა შორის მტრობა, მათი უვიცობა და სიღა-ტაკე. ივიწყებენ ეს ვაჟბატონები, რომ გლე-ხი თავის მდარე მიწაში რამდენჯერმე მეტს მიწის გადასახადს აძლევს; ივიწყებენ მემამუ-ლენი მრავალ სხვა მიზეზებსაც. არ ივიწყებენ ამას მხოლოდ გლეხნი, ან როგორ დაივიწყე-ბენ, როცა შიმშილი და „ბორჩიკი“ მუდამ ეამს თავზე ადგას და აგონებს მის განსაკუთრე-ბულ უუფლებო მდგომარეობას. მხოლოდ ჩვენში, რუსეთში, არსებობს ეს გადასახა-დის მიმცემი კლასი, რომელიც ამასთანავე გადასახადს თავის მამულის კვპლობაზე კი არ იხდის, არამედ თავის უუფლებო მდგო-მარეობის გამო.

გლეხი ვერ ირჩენს თავს ამ მიწით და იძულებულია ქალაქს მიაშუროს, ქირაზე წავიდეს. მიწისათვისაც თავი ვერ დაუნებე-ბია, თუმცა მიწის დამუშავებას უკვე თავი

მიანება და იძულებულია გადასახადი მაინც
აძლიოს, მთელ თავის სიცოცხლეს იგი „მა-
მა-შვილურ მზრუნველობის“ ქვეშ იმყოფე-
ბა. ამ „მზრუნველობამ“ გააღატაკა გლეხი,
ახლოვდება საშინელის სისწრაფით ის დრო,
როცა „მამა-შვილური მზრუნველობა“ სა-
ჭირო აღარ იქნება. ერთი გაზეთის გამოკვ-
ლევით უკანასკნელ ხუთს წელს ამ რიგად
მცირდება ნადელების გამოსასყიდ ფულის
შეტანა:

ათას ცხრაას წელს—ოთხმოცდა თორ-
მეტი მილიონი და ორასი ათასი მანეთი
(92, 2 მილ. მან.) შეიტანეს.

ათას ცხრაას პირველ წელს—ოთხმოცდა
ათი მილიონი მანეთი (90 მილ. მ.)

ათას ცხრაას ორს წელს—ოთხმოცდა
ცხრა მილიონი და შვიდასი ათასი მანეთი
(89, 7 მილ. მან.)

ათას ცხრაას სამ წელს—ოთხმოცდა რვა
მილიონი და რვაასი ათასი მან. (88, 8 მილ. მ.)

ათას ცხრაას ოთხ წელს—ოთხმოცდა
ერთი მილიონი და ექვსასი ათასი მანეთი
(81, 6 მილ. მან.)

კარგად ესმით მსხვილ კაპიტალისტებს, რა ვნება მოაქვს ამისთანა „შზრუნველობას“. გლეხთა გაღატაკება მოასწავებს ბაზრის შემცირებას, საქონლის მუშტრის დაკლებას, წარმოების შეფერხებას და მასთან ერთად ამ კაპიტალისტთა ჯიბეების გათხელებას.

II

ამ რიგად გამოვარკვიეთ, როგორ იკრიფება გადასახადი, გავრგეთ, რომ გადასახადის უდიდეს ნაწილს ლარიბი ხალხი აძლევს, რომ ეს გადასახადი უსამართლოდ არის განაწილებული, ცხალია, უსამართლობაა და რიბ ხალხს ახდევინონ ეს ხარჯი, ეს გადასახადი; ამ ხალხს ხომ ისედაც ჰყვლეთავს ყველა, ვისაც კი იმისი გაყვლეთა არ ეზარება; მთავრობა, მემამულე, მევახშე, ჩარჩი და სულიერი მამაც კი. რატომ ნებას არ აძლევენ ამ ხალხს, პატარა სული მოიდგას, თავისუფლად ამოისუნთქოს; პატარა გაახილოს ოვალი და ცოტათი მაინც შეიგნოს თავისი უფლება; ისარგებლოს ამ ქვეყნის სიკეთით. უგადასახადებოთაც მთავრობას და

კაპიტალისტებს კაი გამორჩენა აქვთ მუშების და გლეხების შრომისაგან. ამიტომაც გადასახადი უნდა ისევ მდიდარმა აძლიოს და არა ღატაკმა. ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, იმან მეტი უნდა იხადოს. ამიტომაც უნდა მოისპოს არაპირდაპირი გადასიხადი და დაწესდეს მხოლოდ პირდაპირი, აშკარა. პირდაპირი გადასახადი კი სამართლიანად უნდა გაეწეროს ყველას. ვისაც მეტი შემოსავალი აქვს, მან მეტი აძლიოს, რათა გადასახადი მძიმე ტვირთად არ დააწვეს მცხოვრებთა ღარიბ ნაწილს. გადასახადი უნდა დაიდოს იმისდა მიხედვით, რამდენი შემოსავალი აქვს კაცს. უნდა დაედოს გადასახადი აგრეთვე შემთხვევითს შემოსავალზე, მაგალითად, მემკვიდრეობაზე. მაშინ გადასახადის გასტუმრება არავის გაუჭირდება. ღარიბი ხალხი გადასახადისაგან უნდა განთავისუფლებულ იქმნას. პრუსიაში ღარიბი ხალხი და ისიც, ვისაც ორმოცდა შვიდ თუმანზე (470 მანეთზე) ნაკლები შემოსავალი აქვს, სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან. რაც უფრო მეტი აქვს შემოსავალი კაცს, მით მეტი

უნდა აძლიოს გადასახადი. შემოსავალზე ამ რიგად დადებულ გადასახადს ჰქვიან შემოსავლის კვალობითი გადასახადი.

შემოსავალი გარდა ამისა უნდა იყოს პროგრესიული. პროგრესიული გადასახადი ჰის არის, როცა მდიდარი აძლევს ჭმარტოვადიდ გადასახადს კი არა, არამედ შემოსავლის დიდ ნაწილსაც. ეს გადასახადი ყველაზე სამართლიანია. მოსამსახურეს ორმოცდა რვაჯ თუმნიან (480 მ.) წლიურ ჯამაგირით, ჟათ თუმანზე ერთი მანეთის, გადახდა უფრო უმძიმს, ვიდრე კაპიტალისტს, რომელსაც ასი ათასი მანეთი აქვს შემოსავალი, ათ თუმანზე თუმნის გადახდა. მოსამსახურეს ჯამაგირი ძლივსა ჰყოფნის, ისე რომ ორიოდე მანეთის მიცემაც კი სავრძნობელია მისთვის. კაპიტალისტმა-კი ასი ათას მანეთის შემოსავალზე რომ ათი ათასი მან. გადაიხადოს არ გაუძნელდება, რაღვან თხმოცდა ათი ათასი მანეთი კიდვე დარჩება წმინდა შემოსავალი. ამ ფულის გაფლანგვაც კი ძნელია ერთ წელი-წალში. სწორედ ამისთანა შემოსავლის გადასახადია შემოღებული პრუსიასა და ინგ-

ლისში. ის, ვისი შემოსავალიც ორმოცდა
შვიდ თუმანზე ნაკლებია, გადასახადისაგან
სულ განთავისუფლებულია, ვისაც ორმოც-
და შვიდი თუმანი (470 მ.) შემოსავალი აქვს,
იხდის თითქმის სამ მანეთს (2 მ. 82 კ.); ვი-
საც ათჯერ მეტი შემოსავალი აქვს, ე. ი.
ოთხას სამოცდა ათი თუმანი აქვს, ათჯერ
მეტს კი არ იხდის, არამედ ოცდა ცამეტ-
ჯერ მეტს; ოცდა რვა მანეთის მავიერ იხ-
დის თითქმის ცხრა თუმან ნახევარს. ასჯერ
მეტს შემოსავალზე (ოთხი ათას შვიდას თუ-
მანზე) ასჯერ მეტს კი არ იხდიან, არამედ
ექვსას სამოცჯერ მეტს; ოთხმოცდა თოთხ-
მეტ თუმანს (940 მან.) კი არა, არამედ ას
ოთხმოცდა რვა თუმანს. ამისთანა გადასახა-
დი როდი აწვება მძიმე ტვირთად მცხოვ-
რებთა ულარიბეს ნაწილს და ამიტომაც იგი
ყველაზე სამართლიანია. ასევე უნდა გაეწევ-
როს მემკვიდრეობაზე. ამ რიგად უნდა არსე-
ბობდეს მხოლოდ პროგრესიული გადასახადი
შემოსავალზე და მემკვადრეობაზე.

ყველა მიხვდება, რომ კაპიტალისტი
მაგრე ადვილად არ გამოემშვიდობება თავის

კაპიტალს, თანხას, აბა ვნახოთ, რა ზომებს
და ხრიკებს მიმართავენ ხოლმე კაპიტალის.
ტები, რათა თავიდან ხარჯი მოიცილონ და
როგორ იკრიფება პროგრესიული გადასახა-
დი ინგლისსა და პრუსიაში.

ინგლისსა და პრუსიაში ყველა მოვალეა,
დავთარში ჩაიწეროს თავისი შემოსავალ-გა-
სავალი. რომ ტყუილი არ ჩასწერონ, არიან
განსაკუთრებული მოხელეები, რომელნიც
თვალ-ყურს აღევნებენ, რათა შემოსავალი
სწორედ ჩასწერონ. პრუსიაში გადასახადი
ასეა განაწილებული, როგორც ზევით მო-
ვიხსენიე: ინგლისში კი ეს საქმე უფრო რთუ-
ლია. იქ გადასახადისაგან განთავისუფლებუ-
ლია ის, ვისი წლიური შემოსავალიც ას სა-
მოც თუმანზე ნაკლებია. დანარჩენნი, თავიანთ
სიმდიდრის და კვალობაზე სახელმწიფოს გა-
დასახადს აძლევენ. ყოველ წელიწადს მი-
ნისტრები, სახელმწიფოს საჭიროების და-
გვარად, გააწერენ ხოლმე გადასახადს თვი-
თეულ კაცს. ამიტომაც იქ გადასახადის რაო-
დენობა იცვლება. ყოველ მოქალაქის შე-
მოსავლის გამოანგარიშება მეტად ძნელია.

გლეხის შემოსავლის გამოანგარიშება ძალიან
ადვილია: რაც კი რამ აბალია ყველას თვალ
წინაა გაშლილი. უფრო ადვილია მუშის
შემოსავლის გამოანგარიშება—მიღი, იკითხე
ქარხნის ან სახელოსნოს პატრონთან ხელ-
ფასის რაოდენობა და მორჩა და გათავდა.
სულ სხვა საქმეა კაპიტალისტების შემოსავ-
ლის გამოანგარიშება. ვინ იცის, რა ხრიკებს
მიმართავენ ხოლმე, რათა თვითონ აიცი-
ლონ ან შეამცირონ გადასახადი? მართალია,
ყველა მრეწველს დავთრები აქვს, რომელ-
შიაც შემოსავლ-გასავალი შეაქვს, მაგრამ ამ
წიგნებში ციფრებს ასწორებენ, შემოსავლის
რაოდენობას ამცირებენ, ხოლო გასავლისას
— აღიდებენ. პრუსიაში, მაგალითად, ერთ
ქვა-ნახშირის მრეწველმა, შემოსავალ-გასავ-
ლის თვალ-ყურის მგდებელ კომისიის წევრმა
თავისი შემოსავალი თითქმის ოთხას თუმნად
გამოიყვანა; სასამართლომ დაამტკიცა, რომ
მისი ნამდვილი შემოსავალი უდრის სამი
ათას თუმანს. კარგად იცოდა, რომ თუ სი-
ყალბეში დაიჭერდნენ, ჯარიმას გადაახდევი-
ნებდნენ, მაგრამ მისთვის პატარა ჯარიმის

გადახდა რა ძნელია. არა, ჯარიმა საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ასეთი კაცების სისხლის სამართალში მიცემა და სასტიკად დასჯა. აი მხოლოდ მაშინ გაანებებს, კაპიტალისტი თაღლითობას და დავთრების შესწორებას. ამისათვის კი საჭიროა, რომ სამართალი და კომისია ხალხის ხელში იყოს; ხომ მოგეხსენებათ: „ძალლი ძალლის ძვალს, არ გასტეხსო“.

ასე და ამ რიგად გავიგეთ, როგორ შეიძლება შეუმსუბუქდეს გადასახადის სიმძიმე ღარიბ-ღატაკს. აღვნიშნეთ აგრეთვე ისიც, რომ პროგრესიული გადასახადი ყველაზე სამართლიანია. ამისთანა გადასახადის დაწესება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხალხი იღებს მონაწილეობას სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში. ცხადია, ამასთანავე, რომ მხოლოდ გადასახადის შემცირება როდით საკმარისი. საჭიროა, რომ ხალხის ფული წესიერათ იხარჯებოდეს. ხალხი ხარჯს იხდის—ხალხმავე უნდა იცოდეს სად მიდის მისი ფული. ეს კარგად შეიგნეს ევროპის სახელმწიფოების მუშებმა და გლეხებმა და სახელმწიფოს მართვა-გამგეო-

ბაში მონაწილეობის მიღების უფლება კი-
დეც მოიპოვეს. მთლად ხალხი კი არ იღებს
მონაწილეობას, არამედ ამორჩეული სანდო
კაცები — წარმომადგენელნი. ეს კაცები ხალ-
ხის ინტერესებს იცავენ; ამას ჰქვიან წარმო-
მადგენლობა; გავიგოთ ეხლა, როგორ ირჩე-
ვენ ხალხის წარმომადგენელთ, რას აკეთებენ
წარმომადგენელნი და რა მნიშვნელობა აქვს
ხალხის წარმომადგენლობას მუშებისა და
გლეხებისათვის.

გერმანიაში ხალხის წარმომადგენელთ
რეიხსტაგში საყოველთაო, პირდაპირ, თა-
ნასწორ და ფარულ კენჭის ყრით ირჩევენ.

საყოველთაო საარჩევნო უფლებას იმისთა-
ნა არჩევნები ჰქვიან, როცა არჩევნებში ყვე-
ლა სრულ წლოვანი ქალი და კაცი იღებს
მონაწილეობას. გერმანიაში, მართალია, ქა-
ლებს არა აქვთ კენჭის ყრის უფლება, მა-
მაკაცსავით ისინიც იხდიან არაპირდაპირ
გადასახადს. მათ აგრეთვე აინტერესებთ გა-
დასახადების სამართლიანათ დახარჯვა. მა-
მაკაცებსავით ქარხანა-ფაბრიკასა და ყანაში
მუშაობენ, სახლში ტრიალებენ და შვილებსა

ზრდიან. ამიტომაც თუ ქალი მონაწილეობას არ იღებს არჩევნებში, ეს არჩევნები არ იქნება ნამდვილი საყოველთაო საარჩევნო უფლება, არ უნდა იყოს აგრეთვე ცენზიც. ცენზი არის ქონებრივი და განათლებისა. რაც უფრო დიდია ცენზი, მით უფრო ნაკლებად იქნება საარჩევნო უფლება საყოველთაო და მით მეტი მოქალაქე არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, თუ მაგალითად, გამოაცხადებენ, რომ მხოლოდ იმას შეუძლიან აირჩიოს და მხოლოდ ის შეიძლება აირჩიონ, ვინც ათას მანეთს პირდაპირ გადასახადს იხდის, ცხადია ვინც ნაკლებს იხდის, ამ უფლებას მოკლებული იქნება. არაპირდაპირს გადასახადს უმთავრესად ლარიბი წალხი იხდის, და თუ ამ ხალხს არჩევნებში, მონაწილეობა არ მიაღებინეს, ცხადია, ეს უდიდესი უსამართლობა იქნება. ამ ქონებრივ ცენზის მეონებით ქვეყნის სვებედის გამგენი მდიდრები იქნებიან და, რა თქმა უნდა, ისინი თავის ჯიბეს არ უღალატებენ. მაშასადამე ქონებრივი შეზღუდვა ლარიბ წალხისათვის, ძალიან საზარალოა.

ასევე საზარალოა განათლების ცენტი,
ესე იგი ისეთი წესი, რომლითაც არჩევნებში
მონაწილეობას მხოლოდ ის ორებს, ვინც წე-
რა-კითხვა იცის. ყველა სახელმწიფოში მრა-
ვალია წერა-კითხვის არა მცოდნე, მაშ ამათ
მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. რუსეთში
და ჩვენში კი ასიდან მხოლოდ ოცმა კაცმა
იცის წერა-კითხვა, ოთხმოცმა კი — არ იცის
ამომრჩეველთ. რომ წერა-კითხვის ცოდნის
გარდა მოეთხოვოთ საშუალოან უმაღლესი
განათლება, ეს ხომ უდიდესი უსამართლო-
ბა იქნება; მუშების და გლეხების შვი-
ლები ძვირად თუ მოხვდებიან უმაღლესს
და საშუალო სასწავლებელში; მაშასადამე
ესენი საარჩევნო უფლებას მოკლებულნი
იქნებიან. ამის გარდა ღარიბ ხალხის
საარჩევნო უფლებას განსაზღვრავენ ხოლმე
ბინადრობის კანონის გამოცემით. ამ კანო-
ნით, საარჩევნო უფლებასა ჰკარგავს ის,
ვინც ადგილზე განსაზღვრულ დროს არა
სცხოვრობს: ვთქვათ, წელიწადს ან ნახევარ
წელიწადს. ეს კანონიც ღარიბ ხალხის წი-
ნააღმდეგ არის მიმართული. ყველას ეცო-

ჸინება, რომ მუშა იძულებულია სხვა და სხვა იზეზებისა გამო ადგილიდან ადგილზე გა-
ჩავიდეს. აქ კაპიტალისტი გაკოტრდა, იქ
წარმოების შემცირების გამო მუშები დაით-
ოვეს. შოხდება ხოლმე, რომ მოურავი ან
ატრონი მუშას უმიზეზოთ დაითხოვს და
უშაც იძულებულია, სხვა ქალაქს წავიდეს.
მ რიგად, ამ კანონის ძალით მრავალი მუ-
ა ჰკარგავს საარჩევნო უფლებას.

საყოველთაო საარჩევნო უფლებას არც სხვა
როვნების და სარწმუნოების ხალხი უნდა იყოს
თკლებული ქართველი, თათარი, სომეხი,
ბრაელი, პოლონელი და სხვა, ყველა გადა-
ახადს აძლევს სახელმწიფოს, ყველა ერთად
წევა საერთო მძიმე უღელს, და რატომ
უნდა იყვნენ მოკლებულნი საარჩევნო უფლე-
ბას ეს ერები? და თუ მაინც მოკლეს მათ
ს უფლება, მაშინ იგრ აღარ იქნება საყო-
ველთაო, საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლებით სარგებლობა შეიძლე-
ა შეიზღუდოს მხოლოდ წლოვანებით. სრულ
ილოვანად ითვლება ყველა, ვინც ოც წე-
ოიწადს მიაღწია. ეს წლოვანება მხოლოდ

იმიტომ არის დაწესებული, რომ ამ დრო
ადამიანი უკვე ისეა განვითარებული დ
შეგნებული, რომ შეუძლიან გაითვალისწი
ნოს ხალხის გაჭირვება, შეუძლიან გაარჩიოს
ვინ არის ხალხის მტერ-მეგობარი. ამ ხანაში
ადამიანს პირადი ინტერესები არა ჩრდილავ
საზოგადო საჭიროებას. როცა ადამიანი ხანში^{შევა,} მაშინ იგი თავის საკუთარ უჯახი
ინტერესებს უფრო მისდევს, ვიდრე საზო
გადოებისას.

საარჩევნო უფლება საერთ, საყოველ
თაო რომ იყოს, ეს როდი კმარა. საჭირო
ამასთანავე, იგი იყო თანასწორი, ესე იგი
კაპიტალისტი და თავად-აზნაურობას არაფერ
უბირატესობა. არა ჰქონდეთ ღარიბ ხალხთა
შედარებით; ყველას, მუშას და გლეხსავია
ერთი კენჭის მიცემის უფლება უნდა ჰქონდეს
ხანდისხან საარჩევნო უფლების თანასწორ
რობა ირღვევა ორ პალატის დაწესებით. ერთ
ქვემო პალატა ჰქვიან, მეორეს კი ზემო. ქვე
მო პალატაში წარმომადგენელთ ირჩევენ
გლეხები, მუშები, თავად-აზნაურობა და კა
პიტალისტები; ზემო პალატაში კი მხოლოდ

კაპიტალისტები და თავად-აზნაურობა, აგრე-
თვე სამღვდელოება; ყველა კანონები უნდა
განიხილოს ქვემო და ზემო პალატაში. ამ რი-
გად მუშები და გლეხები მხოლოდ ქვემო
პალატაში ირჩევენ წარმომადგენელთ, ესე
იგი, ერთი ხმით სარგებლობენ; მდიდრები
და თავად-აზნაურობა კი წარმომადგენელთ
ზემო და ქვემო პალატაში ირჩევენ, ესე იგი
ორი ხმა აქვთ.

თანასწორობა ირღვევა კიდევ, თუ არჩვნე-
ბი წოდების მიხედვით სწარმოებს. მაგალითად,
შეუძლიანთ გამოსცენ კანონი, რომლის ძა-
ლითაც თავად-აზნაურობა და გლეხები დე-
პუტატების (წარმომადგენელთ) ერთ რიცხვს
ირჩევენ ცალკ-ცალკე. გამოდის, რომ თა-
ვად-აზნაურთა ჯგუფი, მაგ., ათასი კაცი
ირჩევს ერთ წარმომადგენელს და გლეხობაც
ასი ათასი კაციც ერთ წარმომადგენელს.
მაშასადამე თავადის ან აზნაურის ერთი ხმა
უდრის გლეხთა ას ხმას. ამ რიგად როცა
არჩევნები წოდების მიხედვით სწარმოებს,
მაშინ არჩევნების თანასწორობა ირღვევა.

პირდაპირი საარჩევნო უფლება ჰქვიან

იმისთანა არჩევნებს, როცა ხალხი თავის
წარმომადგენელთ საკანონმდებლო დაწესე-
ბულებაში პირდაპირ ირჩევს. არის არჩევნები,
პირდაპირის ვარდა ორსართულიანი, და ასე
გასინჯეთ სამ და ოთხ სართულიანი არჩევნე-
ბიც კი, ამ გვარი არჩევნები უნდა იყოს ახლად-
გამომცხვარ სახელმწიფო სათათბიროში.
გლეხები, მაგალითად, წარმომადგენელთ ასე
ირჩევენ: ჯერ სოფლის ყრილობაზე ირჩევენ
წარმომადგენელთ კი არა, „ამომრჩეველთ“
ერთ სამასხალისოს „ამომრჩეველნი“ ერთად
იკრიბებიან და თავიანთ წრიდან ირჩევენ
„რწმუნებულთ“ („ამომრჩეველთ“) საგუბერ-
ნიო საარჩევნო კრებაზე გასაგზავნად და აი
მხოლოდ აქ ეს „რწმუნებულნი“ ირჩევენ
სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ წარ-
მომადგენელს. მემამულეთა და მოქალაქეთა-
თვის დაწესებულია ორ სართულიანი არჩევ-
ნები; როცა მრავალ სართულიანი არჩევნე-
ბია დაწესებული, ადვილია ამომრჩეველთა
შეშინება ან მოსყიდვა მათი სიმცირისა გამო.
მაგალითად ას ან ათ ამომრჩეველის მოსყიდვა
ან შეშინება ადვილია. ოთხმოც მიღიონ

რუსეთის გლეხების შეშინება კი არ შეიძლება
და მოსყიდვისათვის ხომ ფულიც არ ეყოფათ.
გარდა ამისა, როცა მრავალ სართულიანი
არჩევნებია, სხვა დაბრკოლებაც არის ხოლმე;
ვთქვათ, სოფელმა „ამომრჩევლად“ დასახე-
ლა ღარიბი გლეხი. ცხადია, ეს ღარიბი გლე-
ხი იძულებულია უარი სთქვას, რადგანაც
სამაზრო ან საგუბერნიო ქალაქში წასასვლე-
ლად ფულია საჭირო, იმას კი ფული ვინ
მისცა, ასე რომ ბურთი და მოედანი რჩება
ისევ შემძლებელთ, მემამულეს ან მევახშეს.

ფარული ჰქვიან იმისთანა არჩევნებს, რო-
ცა ამომრჩეველნი კენჭს აშკარად კი არ
აძლევენ, არამედ ფარულად, საიდუმლოდ,
ბარათების შემწეობით. თუ, მაგალითად, სა-
მამასახლისოს ან სოფლის ყრილობაზე ღარი-
ბი კენჭს აშკარად მისცემს იმას, ვინც მაზ-
რის უფროსს, მევახშეს ან მემამულეს არ
მოსწონთ, ცხადია მაზრის უფროსი, მევახშე
და მემამულე დევნას დაუწყებენ. ფარულ
კენჭის ყრით კი ვერავინ გაიგებს, ვის მიეცი
კენჭი და ამიტომ ვერც მაზრის უფროსი
და ვერც მევახშე შეგაშინებს. ასე უფრო

შეიძლება სასურველ, ღირსეულ კაცის
არჩევა.

ამ გვარად გავიგეთ, როგორ ირჩევს
ხალხი თავის წარმომადგენელთ საყოველ-
თაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენ-
ჭის ყრით. ეხლა ვნახოთ, რას აკეთებენ ხალ-
ხის წარმომადგენელნი. საკანონმდებლო კრე-
ბა ახალ კანონებსა სცემს, ძველს აუქმებს,
სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს
ამტკიცებს, სწყვეტს ომისა და ზავის საქმეს.
ხალხის პარლამენტს უფლება უნდა ჰქონდეს
თვითონ დანიშნოს მინისტრები და აგრეთვე
დაითხოვოს, თუ, ვინიცობაა, ხალხის მიერ
არჩეულ პარლამენტის სურვილს წინააღმდ-
გებიან. ამ რიგად, თუ მინისტრმა ან მისმა
მოხელემ რამე დაშავეს, ისინი პასუხს ავე-
ბენ ხალხის წარმომადგენელთა წინაშე. თუ
პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა ვი-
ნისტრებს, ისინი მოვალენი არიან თავი გაა-
ნებონ მართვა-ვამგეობას და დაუთმონ ადგი-
ლი იმათ, რომელთაც პარლამენტი ნდობას
გამოუცხადებს. ახალ კანონების გამოცემის
და ძველის გაუქმების დროს ხალხის წარმო-
მადგენელნი უნდა ხელმძღვანელობდნენ
ამომრჩეველთა ინტერესებით. ხალხის ფულის
დახარჯვის საქმე უნდა იყოს ხალხისავე ხელში,

რომელიც, ცხადია, თავის სასარგებლოდ
მოიხმარს. შვეიცარიის ოქსპუბლიკაში სა-
ხალხო განათლებაზე თითო სულზე იხარჯება
ერთი მანეთი და ოერთმეტი შაური, ჯარზე—შა-
ნეთ ნახევარი. ჩვენში კი ჯარზე თითო სულზე
სამ მანეთ ნახევარი იხარჯება, სახალხო განათ-
ლებაზე კი ექვსი შაური. იაპონიაში საცა-
ხალხი მონაწილეობას იღებს სახელმწიფო
საქმეების მართვა-გამგეობაში, ჯარის მთა-
ვარ სარდალს მარშალ ოიაშას ომის დროს
წელიწადში ოცდარვა ათას მანეთამდე ეძლე-
ოდა, რუსის გენერალ კუროპატკინს კი წე-
ლიწადში ას ოცი ათასი მანეთი. შორეულ
აღმოსავლეთის ნამესტნიკად ნამყოფიალექ-
სეევი იღებდა წელიწადში ას ორმოცდა ათი
ათასს მანეთს. იაპონელი გამოჩენილი აღმი-
რალი ტოგო ცუსიმის ბრძოლამდე (ამ ბრ-
ძოლაში სამარცხვინოდ დამარცხდა რუსის
აღმირალი როუესტვენსკი) იღებდა უქვს ათას
მანეთს წელიწადში. რუსეთის აღმირალი
დამარცხებული როუედესტვენსკი კი ასი ათას
მანეთამდე იღებდა წელიწადში.

ასე იხარჯება მილიონობით ხალხის ფუ-
ლი ჯარსა და ფლოტზე, იმ ჯარსა და ფლოტ-
ზე, რომელიც შემდეგში სამარცხვინოდ და-
მარცხდა ლიაონისა და ცუსიმასთან. ამავე

ოროს კი სახელმწიფოში არ არის არც სკო-
ლები, არც საავადმყოფოები, არც ხეირიანი
ჩეინის გზები და ხალხიც გაღარიბებულია.
ერთ-კითხვის უცოდინარ ჯარს ჩვენთვის
ესარგებლო მანჯურიაში ჰეზავნიან საომრად,
კეშიშველა და მშიერი გლეხი თავის სის-
ლით ინახავს ამ ჯარს. მანჯურია კიდეც
რომ დაეპყრო ჯარს საცოდავ ხალხის მიერ
დანთხეულ სისხლს და გაწყვლ ხარჯს მაინც
ვერ აუვიდოდა. შემოსავალი თავად-აზნაუ-
რობისა და ვაჭართა ჯიბეში წავიდოდა,
არჯი კი, რაც დაპყრობილ მიწა-წყლის
შენახვას დასჭირდებოდა, ხალხს უნდა გაეწია.
ხალხი თავის წარმომადგენელთა საშუალებით
უნდა განაგებდეს ხარჯის და ბაჟის გაწერისა
და თავის ფულის დახარჯვის საჭმეს.

ევროპის სახელმწიფოთა მუშებმა და
ლეგებმა კარგად შეიგნეს, რომ საკანონ-
დებლო კრებით გააუმჯობესონ თავიანთი
ივთიერი მდგომარეობა. გერმანიის ხალხმა
აყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და
ვარულ საარჩევნო უფლებასთან ერთად მოი-
ოვა აგრეთვე სიტყვის, ბეჭვდის, კრების,
ავშირის და გაფიცვის თავისუფლება, პი-
როვნების ხელშეუხებლობა და კანონის წი-
აშე ყველას თანასწორობა. გერმანიის ხალხმა

კარგად შეიგნო ამ თავისუფლებათა საჭიროება. რათა საკანონმდებლო კრებაში ხალხის ნამდვილი მეგობრები მოჰყვნენ, საჭიროა ხალხს მტერ-მეგობარის გარჩევა შეძლოს. სხვის გულში კაცი ვერ ჩაძვრება და მის გულის ნადებს ვერ გაიგებს. ამიტომაც საჭიროა არჩევნების წინ თვითეულმა, ვისაც კი სურს, რომ იგი საკანონმდებლო კრებაში აირჩიონ, ხმა მაღლა და აშკარად სთქვას, რა სიკეთე სურს ხალხისათვის, და რა ზომები განხორციელებას ეცდება იგი პარლამენტში თავის რწმენათა ამგვარ აღიარებას ჰქვენ საარჩევნო აგიტაცია. ამისათვის საჭიროა სიცვის თავისუფლება; რათა ყველას შეეძლობა დაუბრკოლებლად ლაპარაკი და ყველაფრი გამოთქმა. რათა ნალაპარაკევი, გამოთქმული აზრი მთელ სახელმწიფოს მოეფინოს ყველამ გაიგოს, საჭიროა ბეჭდვის თავისუფლება. აი სწორედ მაშინ შეუძლიან ხალხ გაარჩიოს მტერ-მოყვარე. გაზეთების შეწეობითვე ხალხს შეუძლიან თვალ-ყურადღენოს, თუ რას ლაპარაკობს და როგორ იცავს იმის ინტერესებს მისი წარმომადგენლი. თუ, ვინიცობაა, ამ წარმომადგენელმა უმტკუნა ხალხს, მეორედ მას აღარ აირჩევენ ზოგიერთმა წერა-კითხვაც არ იცის და

უ იცის, ყველათერს ვერ მიხვდება. ამის-
წის საჭიროა, უფლება ჰქონდეთ, საკა სურთ
რამდენიც სურთ, შეიკრიბნენ და უკეთ
მოარკვიონ თავიანთი საჭიროება და ფიქრი.
ერთლება ადამიანმა ძალიან კარგადაც შეი-
სოს თავისი საჭიროება, ამ საჭიროების
აკმაყოფილების საშვალებაც გამოსქებნოს,
ურამ ერთი ვერათერს გახდება; ამიტომ
აჭიროა, შეკავშირდნენ, რათა საერთო ძალ-
ონით სძლიონ მტერი. გერმანიაში და ევრო-
ის სხვა სახელმწიფოებში უკვე არსებობს
შათა კავშირები, რომელთაც თავიანთი
ჩეოთები აქვთ, ბეჭდავენ წიგნებს. ამ გაზე-
პსა და წიგნებში სწერენ თავიანთ საჭი-
ოებაზე, თავიანთ მტერზე და ამ მტერთან
რძოლაზე.

კაპიტალისტებთან საბრძოლველად ყვე-
ლაზე უფრო გავრცელებული იარაღი გა-
იცვაა. ამიტომაც ხალხისწარმომადგენელნი
წინარეს ყოვლისა სცდილობენ გამოსცენ
ნონი გაფიცვის თავისუფლების შესახებ.

გერმანიაში მინისტრები და მოხელენი
შირად არღვევენ კანონს. საჭიროა, მუშებს
ა გლეხებს შეეძლოთ მათი სამართალში
ცემა; ცხადია, თუ მოსამართლენი მიკერ-
ებით გაარჩევენ საქმეს, მოხელეთათვის და

პოლიციის თვეის კანონის დარღვევა ადვილი
იქნება. რათა მინისტრებს და მოხელეთ პა-
სუხის მგებლობის შიში პქონდეთ, საჭიროა,
რომ სამართალი ერთხაირი იყოს უველასათვის,
როგორც ხალხისათვის ისე მათთვის; რათა უვე-
ლა მოქალაქეს შეეძლოს თავისუფლად ლა-
პარაკი, წერა, ერთად შეკრება და საკანონ-
მდებლო კრებაში მონაწილეობის მიღება,
საჭიროა პიროვნების თავისუფლება და ხელშეუ-
ხებლობა. გერმანიაში, მაგალითად, პოლი-
ციას თავის ნებით, სასამართლოს ნება-დაურ-
თველად, არ შეუძლიან ვისიმე დაპატიმრება
სწორედ ამისთანა თავისუფალ საკანონშ
დებლო კრებით გერმანელი მუშები და გლ
ხები თანდათან აუმჯობესებენ თავიანთ ნივ
თიერ მდგომარეობას, იძენენ სამეცნიერო
და პოლიტიკურ ცოდნას, პროლეტართა
ერთ უზარმაზარ კავშირად ერთდებიან, და
ძალას იკრეფენ მომავალი ბრძოლისათვის,
როდესაც უნდა მოიპოვონ საუკეთესო წეს-
წყობილება და წმინდა თავისუფლება!

მთარგმნელის შენიშვნები:

ადმირალი — ამირბარი — საზღვაოსნო ჯარ-ხო-
მალდების გამგე, ან ზღვიოსანთ უფროსი.

ინტერესი — სარგებლობა, სარგო, მოგება.

კაპიტალისტი — ღიღი ფულის, შეძლების პა-
ტრონი; მდიდარი.

კლასი — წოდება, ხარისხი.

კომისია — ამორჩეულ პირთა კრებული, რო-
მელსაც რაიმე საქმის განხილვა აქვს მინდობილი.

მარშალი — უმაღლესი სამხედრო პირი.

მინისტრი ფინასნოა ანუ ფინანსთა მინისტრი
უმაღლესი სახელმწიფო მოხელე, ვეზირი, რომელ-
საც აბარია სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის,
სესხისა და, საზოგადოთ, ფულის საქმის გამგება.

პარლამენტი — ხალხის წარმომადგენლობა. იყო-
ფა ჩვეულებრივ ორ პალატა: ქვემო პალატა
ანუ დეპუტატთა (წარმომადგენელთა) პალატა. ქვემო
პალატაში წარმომადგენელთ თვით ხალხი ირჩევს.
ზემო პალატაში წარმომადგენელთ ირჩევენ
მდიდრები. წარმომადგენელნი ამ პარლამენტში
კანონებს იხილავენ; აწესებენ ახალს და აუქმებენ
ძველს; იხილავენ და ამტკიცებენ სახელმწიფო შე-
მოსავალ-გასავალის ანგარიშს, ვარაუდს.

პროცენტი—ნათავნი, სარგებელი. მეასედი. მაგ. ხუთი პროცენტი არის ასზე ხუთი. პროცენტის აღ-სანიშნავად ამ ნიშანს ხმარობენ $\%$. მაგალითად, ხუთი პროცენტი ასე იწერება 5% . გქვსი— 6% შვილი— 7% და სხვა.

რესპუბლიკა—სახელმწიფოს ისეთი წესწყო-ბილება, როდესაც ქვეყნის სვე-ბედის გამგე ერთი კაცი კი არ არის, არამედ მთელი ხალხი. დიდ სა-ხელმწიფო საქმეების გადასაწყეტად ყველა ერთად ვერ შეიკრიბება, სახელმწიფო საქმეებს განავებენ ხალხის მიერ არჩეული სანდო კაცები—წაუმომად-გენელნი. მართვა გამგეობის ამისთანა წესს ჰქვიან წარმომადგენელნი. რესპუბლიკა— დემოკრატიული (ხალხური) რესპუბლიკა.

ფლოტი—ფლოტი არის ორ გვარი: სავაჭრო და სამხედრო. სავაჭრო ფლოტში ის გემებია, რო-მლითაც საქონელი დააქვთ და ხალხი გადაყავთ—გადმოჰყავთ; სამხედროში—რომელზედაც მეომარნი ზღვაოსანნი არიან.

33

3 145